

მოწვევა ინტერესთა გამოხატვის თაობაზე

თბილისში ლოგისტიკური ცენტრის განვითარების შესახებ

15 ნოემბერი, 2017 წელი

1. შესავალი

ბიზნეს გარემოსა და მმართველობის გაუმჯობესების მიზნით გატარებულ ღონისძიებებთან ერთად საქართველომ წარმატებით განახორციელა რიგი ფუნდამენტური რეფორმები ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორში ბოლო ათი წლის მანძილზე. საქართველომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საკუთარი სატრანზიტო პოტენციალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციით, საბაჟო პროცედურების გაუმჯობესებით და ეკონომიკის ძირითად სექტორებში მომსახურების ლიბერალიზაციით, რაც უზრუნველყოფს უკეთეს საერთაშორისო კავშირს გლობალურ ბაზრებთან. საქართველო ასევე ანახლებს და აფართოვებს თავის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, რომელიც მოიცავს ეროვნული მაგისტრალის მზარდ სისტემას, ახალ სარკინიგზო მარშრუტებს, განახლებულ სამ საერთაშორისო აეროპორტს (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) და საზღვაო ნავსადგურებს/ტერმინალებს. მიუხედავად ამ წარმატებისა, რიგი გამოწვევები რჩება იმისთვის, რომ საქართველო გახდეს რეგიონის სატრანზიტო-ლოგისტიკური ჰაბი.

საქართველოს ლოგისტიკური სექტორის ერთ-ერთი მთავარ გამოწვევას წარმოადგენს თანამედროვე ლოგისტიკური ცენტრების განვითარება. აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, რომელიც მსოფლიო ბანკის მიერ ფინანსდება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კონსულტანტმა კომპანიამ (Dornier Consulting International GmbH) მოამზადა **ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება საქართველოში ლოგისტიკური ცენტრების განვითარების თაობაზე („ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება“)**. აღნიშნული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება ხელმისაწვდომია სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.economy.ge.

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შედეგების საფუძველზე საქართველოს მთავრობა აპირებს, შეარჩიოს ინვესტორი („ინვესტორი“) თბილისის ლოგისტიკური ცენტრის განვითარების მიზნით მშენებლობის, ფლობის და ოპერირების (BOO) მოდელის საფუძველზე („პროექტი“) შერჩეულ ინვესტორთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად („საინვესტიციო ხელშეკრულება“).

ამდენად, ინტერესთა გამოხატვის შესახებ მოწვევით, საქართველოს მთავრობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეშვეობით, იწვევს ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებს ან კომპანიების ჯგუფს - კონსორციუმებს („კანდიდატებს“) გამოხატონ პროექტში ინვესტორის სახით მონაწილეობის სურვილი.


2. ძირითადი ამოცანები:

თბილისის ლოგისტიკური ცენტრის განვითარებასთან მიმართებით საქართველოს მთავრობის ძირითადი ამოცანებია:

- თბილისში თანამედროვე და მაღალი დონის ლოგისტიკური ცენტრის როგორც ლოგისტიკური კლასტერის სამომავლო განვითარება;
- აღნიშნული ლოგისტიკური ცენტრის შესაძლებლობა, შეასრულოს ლოგისტიკური ჰაბის ფუნქცია როგორც აღმოსავლეთ საქართველოსთვის, ასევე, სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ლოგისტიკური კომპანიების დაფუძნება, ასევე, ლოგისტიკასთან მკვეთრად დაკავშირებული ვაჭრობისა და წარმოების განვითარება დაგეგმილი ორი ეტაპის შესაბამისად;
- ინვესტორების, ოპერატორების და საფინანსო კომპანიების მოზიდვა;
- შემდგომი რეგიონული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გაძლიერება და მხარდაჭერა

3. ადგილმდებარეობა

მომავალი ლოგისტიკური ცენტრი განლაგებული იქნება თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში სომხეთის და აზერბაიჯანის საზღვრებთან ახლოს. ლოგისტიკურ ცენტრს ექნება პირდაპირი მისასვლელი ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზთან და ასევე, ფოთი/ბათუმი-თბილისი-ერევნის სარკინიგზო ხაზთან, რაც მის მდებარეობას უნიკალურს ხდის. ტერიტორია კარგად არის დაკავშირებული ეროვნულ სარკინიგზო და საგზაო ქსელთან, ამასთან, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი მდებარეობს 20 კმ-ში. 9 კმ-იანი მისასვლელი გზა აკავშირებს მომავალ ლოგისტიკურ ცენტრს ეროვნული მაგისტრალის ქსელთან (S4, S9). მისასვლელი გზა S4 მაგისტრალთან მეტწილად უკვე არსებობს, რაც შეეხება S6 მაგისტრალთან დამაკავშირებელ დამატებით გზას, იგი აშენდება ლოგისტიკური ცენტრის განვითარების მეორე ეტაპზე.



ეროვნულ საგზაო ქსელთან დამაკავშირებელი ხაზის არსებობა, ნიშნავს, რომ ტრანსპორტირება ლოგისტიკური ცენტრიდან მაღალი გამტარუნარიანობის სატრანსპორტო გზებამდე და პირიქით განხორციელდება მოკლე მანძილზე. S4 მაგისტრალი პირდაპირ უკავშირდება აზერბაიჯანს, ხოლო S9 უკავშირდება ყველაზე მნიშვნელოვან მაგისტრალს საქართველოში -S1-ს.

4. მიმოხილვა, მთავარი მაჩვენებლები და მონაცემები:

- მთავარი მახასიათებლები

თბილისის ლოგისტიკური ცენტრის განვითარების საბოლოო ეტაპისთვის განსაზღვრული მთავარი ფუნქციონალური მოდულები და საშუალებები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

No.	ფუნქციონალური მოდული	აღწერა
1	მომსახურების ცენტრი	ლოგისტიკური ცენტრის მენეჯმენტი, ადმინისტრაცია, კონტროლი და კომუნიკაცია, ბენზინგასამართი სადგური, ავტოფარეხი, სასადილო-რესტორანი, სასტუმრო
2	შენობა-ნაგებობები ლოგისტიკური სერვისებისთვის	დასაწყობება, ტვირთების ექსპედირება, ტემპერატურულ კონტროლის მქონე საწყობი, მაცივრით და საყინულეთი აღჭურვილი საწყობები, საბაჟო საწყობი, სახიფათო ტვირთების საწყობი

3	ლოგისტიკასთან მკვეთრად დაკავშირებული დარგები და ვაჭრობა	ლოგისტიკასთან მკვეთრად დაკავშირებული წარმოების ან გადამამუშავებისთვის შენობა-ნაგებობების მოწყობა
---	--	--

მომსახურების ცენტრის სამომავლო სერვისი მოიცავს ადმინისტრირებას და მენეჯმენტს, უძრავი ქონების განვითარებას, შეძენას და მარკეტინგს, ობიექტების მენეჯმენტს, უსაფრთხოების სერვისს, IT მომსახურებას და სხვა სერვისებს (ბუღალტრული აღრიცხვა, კომუნიკაციები და ა.შ.).

- თბილისის ლოგისტიკური ცენტრისა და სარკინიგზო -საავტომობილო საკონტეინერო ტერმინალის მთავარი მაჩვენებლები

მახასიათებელი	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 1+2	საკონტეინერო ტერმინალი
ფართობი	39.8 ჰა	12.9 ჰა	52.7 ჰა	7.9 ჰა
სამშენებლო ფართი	98,800 კვ.მ	35,000 კვ.მ	133,800 კვ.მ	
გამტარუნარიანობა	733,600 ტ/წ	224,000 ტ/წ	957,600 ტ/წ	59, 200 TEU/წ
CAPEX (სავარაუდო)	60.7 მლნ. აშშ დოლარი	19.6 მლნ. აშშ დოლარი	80.3 მლნ. აშშ დოლარი	15.1 მლნ. აშშ დოლარი

5. საქართველოს მთავრობის განზრახვლებანი

პროექტისათვის საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ინვესტორისთვის 52.7 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთის გადაცემას. მიწის გადაცემისთვის საჭირო სამართლებრივი პირობები და მხარეების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები დაზუსტდება საინვესტიციო ხელშეკრულების გაფორმებამდე. საქართველოს მთავრობა ასევე დააფინანსებს გარე ინფრასტრუქტურის მშენებლობას (რკინიგზა, გზა, კომუნიკაციები) და განიხილავს სარკინიგზო-საავტომობილო საკონტეინერო ტერმინალის განვითარების შესაძლებლობას.

ამასთან, სს „საპარტნიორო ფონდი“ საკუთარი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში განიხილავს ზემოხსენებულ პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობას.¹

6. პროექტის მთავარი მოთხოვნები

მშენებლობის დაწყების თარიღი:

მშენებლობა უნდა დაიწყოს საინვესტიციო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 18 თვის ვადაში (“მშენებლობის დაწყების თარიღი”).

მშენებლობის ეტაპები:

თბილისის ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობა მისი გამტარუნარიანობის პროგრესული ზრდის მიზნით უნდა წარიმართოს შემდეგი 2 ეტაპის (განვითარების ეტაპი 1 და 2) მიხედვით:

- 1) ეტაპი 1: მშენებლობის დაწყების თარიღიდან ხუთი (5) წლის ვადაში უნდა დასრულდეს თბილისის ლოგისტიკური ცენტრის განვითარების პირველი - საწყისი ეტაპის განხორციელება და მიღწეულ იქნას შემდეგი მაჩვენებლები:

- მთლიანობაში სულ მცირე 98, 800 კვ.მ (ოთხმოცდათვრამეტათას რვაასი) სამშენებლო ფართი (როგორც ძირითადი მაჩვენებელი - KPI), აქედან სულ მცირე 64, 000 (სამოცდაოთხათასი) კვ.მ განკუთვნილი უნდა იყოს ლოგისტიკური სერვისებთან დაკავშირებული შენობა-ნაგებობებისთვის;

- სულ მცირე 70, 400 (სამოცდაათათას ოთხასი) პალეტის ადგილი, პალეტის შეფარდება ერთ კვადრატულ მეტრთან - 1.1 (აღნიშნული მოთხოვნა ეხება მხოლოდ ლოგისტიკური სერვისებისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობებს);

¹ სს „საპარტნიორო ფონდი“ არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, რომელიც დაარსდა 2011 წელს. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდს:

http://www.fund.ge/eng/who_we_are/4/

2) ეტაპი 2: თბილისის ლოგისტიკის ცენტრის განვითარების მეორე, საბოლოო ეტაპის მშენებლობა უნდა დაიწყოს ქვემოთ მოცემული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომიდან (იმისდა მიხედვით, თუ რომელი გარემოება უფრო ადრე დადგება) 15 (თხუთმეტი) თვის განმავლობაში:

(i) როდესაც შესრულდება პირველი ეტაპის მშენებლობის დაწყებიდან 10 (ათი) წელი; ან

(ii) როდესაც თბილისის ლოგისტიკური ცენტრი მიაღწევს პირველ ეტაპზე არსებული ფართის შევსების (დატვირთვის) 80%-იან (ოთხმოცი პროცენტი) მაჩვენებელს.

განვითარების დაწყებიდან არაუგვიანეს ხუთი (5) წლისა უნდა დასრულდეს მეორე ეტაპის განხორციელება და მიღწეულ იქნას შემდეგ მთავარი მაჩვენებლები:

- სულ მცირე 35, 000 (ოცდათხუთმეტიათასი) კვ.მ სამშენებლო ფართი (როგორც ძირითადი მაჩვენებელი - KPI), აქედან სულ მცირე 20, 800 (ოციათას რვაასი) კვ.მ განკუთვნილი უნდა იყოს ლოგისტიკურ სერვისებთან დაკავშირებული შენობა-ნაგებობებისთვის;

- სულ მცირე 22, 900 (ოცდაორიათას ცხრაასი) პალეტის ადგილი. პალეტის შეფარდება ერთ კვადრატულ მეტრთან - 1.1 (აღნიშნული მოთხოვნა ეხება მხოლოდ ლოგისტიკური სერვისებისთვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობებს).

ოპერირების დაწყება:

მშენებლობის დაწყებიდან ორი (2) წლის ვადაში.

დაფინანსება:

ინვესტორი ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის განხორციელება საკუთარი კაპიტალით ან/და მოზიდული სახსრებით.

სხვა მოთხოვნები:

ინვესტორის ვალდებულებაა პროექტის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფა.

შენიშვნა: პროექტის მთავარი მოთხოვნები ემყარება ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთების დოკუმენტს. ინვესტორი ვალდებულია, ლოგისტიკური ცენტრი განავითაროს სამინისტროს კონსულტანტების მიერ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში შემუშავებული კონცეპტუალური დიზაინის შესაბამისად. აღნიშნული თვალსაზრისით, პროექტში არსებითი ცვლილებების შეტანა დაუშვებელია. თუმცა, მთავრობა მზად არის განახორციელოს პროექტის გონივრული მოდიფიცირება კანდიდატების თხოვნის საფუძველზე, ინვესტორის შერჩევის პროცესის შემდგომ ეტაპებზე და ასევე, გამარჯვებულთან საინვესტიციო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებისას.

7. მოთხოვნები ინტერესთა გამოხატვის მიმართ

კანდიდატები ვალდებულნი არიან ინტერესთა გამოხატვასთან ერთად წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტები:

- 1) ოფიციალური სახელწოდება და მისამართი;
- 2) საფოსტო მისამართი;
- 3) სათანადო წესით დამოწმებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან/იურიდიული პირის მოწმობა (და დაფუძნების და კომპანიის სახელის ცვლილების შესახებ არსებული სხვა დოკუმენტები);
- 4) იურიდიული პირის წესდების სათანადოდ დამოწმებული ასლები;
- 5) კომპანიის რეზიუმე;
- 6) გამოცდილების აღწერა, რომელიც დაადასტურებს კანდიდატის ან კანდიდატის ქვეკონტრაქტორების შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს ამავე დოკუმენტის დანართი 1-ის „ა“-ნაწილით (გამოცდილება) განსაზღვრული კრიტერიუმები. იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატის გამოცდილება ეყრდნობა ქვეკონტრაქტორების გამოცდილებას, დამატებით საჭიროა წარმოდგენილ იქნეს პროექტში მონაწილეობის მიღების მზადყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტები თითოეული ქვეკონტრაქტორისგან. გამოცდილების აღწერის განაცხადს თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტები და ცნობები;
- 7) პროექტში მონაწილე ყველა მხარისათვის - წინა 3 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს იმ კორპორაციული ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელთაც ეს მხარეები მიეკუთვნებიან („კორპორაციული ჯგუფი“ ნიშნავს ნებისმიერ კორპორაციულ ჯგუფთან მიმართებაში ასეთი ერთეულის საბოლოო ჰოლდინგურ კომპანიას და ყველა შვილობილ სუბიექტს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება იმ ჰოლდინგური კომპანიის მიერ);
- 8) იმ პარტნიორთა სათანადოდ დამოწმებული სია, რომლებიც ფლობენ კანდიდატის წილს, მათ შორის ინფორმაცია საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ;
- 9) ინფორმაცია ყველა იმ სასამართლო და საარბიტრაჟო პროცესის შესახებ, რომლის მონაწილეც იყო კანდიდატის კორპორატიული ჯგუფის (როგორც განმარტებულია ზემოთ) წევრი ნებისმიერი კომპანია ბოლო 5 წლის განმავლობაში;

10) თუ კანდიდატო კონსორციუმია, კონსორციუმის წევრთა სია და ზემოაღნიშნული ყველა დოკუმენტაცია/ინფორმაცია თითოეულ წევრზე.

იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატი ზემოხსენებულ ინფორმაციას არ წარმოადგენს ინტერესის გამოხატვის შესახებ განცხადების წარდგენისას, ან წარმოადგენს არასრულად, მისი კანდიდატურა არ იქნება განხილული.

იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი კონსორციუმია, მაშინ კონსორციუმის არცერთი წევრი არ შეიძლება იყოს სხვა კანდიდატის წევრი. ინტერესის გამოხატვის შესახებ განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობამ შესაძლოა მოიწვიოს კანდიდატები თბილისში, საქართველოში პრეზენტაციის გაკეთების მიზნით.

8. განმარტებები

კანდიდატებს შეუძლიათ წარმოადგინონ განცხადებები განმარტებების მოთხოვნის თაობაზე ქვემოთ მოცემულ ელექტრონულ მისამართებზე, არაუგვიანეს 2017 წლის 20 დეკემბრისა. საქართველოს მთავრობა ყველა კანდიდატისთვის ხელმისაწვდომს გახდის პასუხებს იმ განცხადებებზე განმარტებების მოთხოვნის თაობაზე, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ზემოაღნიშნულ ვადაში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

დავით ჯავახაძე
უფროსის მოადგილე
ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების
პოლიტიკის დეპარტამენტი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

ჭოველიძის ქ. 10ა, თბილისი 0108. საქართველო
ტელ: +995322991095
ელ-ფოსტა: djavakhadze@economy.ge
ფაქსი +995322921534

ან

ერეკლე კეჟერაშვილი
იურიდიული კონსულტანტი
ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების
პოლიტიკის დეპარტამენტი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

ჭოველიძის ქ. 10ა, თბილისი 0108. საქართველო
ტელ: +995322991143
ელ-ფოსტა: ekezherashvili@economy.ge
ფაქსი +995322921534

9. ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განაცხადის წარდგენა

ინტერესთა გამოხატვის შესახებ განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს 3 ნაბეჭდი, ხელმოწერილი ორიგინალის და ერთი ელექტრონული ასლის (PDF) სახით, რომლებიც უნდა იყოს მოთავსებული დალუქულ კონვერტში და უნდა ჩაბარდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს არაუგვიანეს 2018 წლის 29 იანვრის 14:00 საათისა თბილისის დროით, შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ჭოველიძის ქ. 10ა, თბილისი 0108 საქართველო

ნაბეჭდ ორიგინალსა და ელექტრონულ ასლს შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ნაბეჭდ ორიგინალს.

10. კანდიდატების შერჩევა; საორიენტაციო ვადები

კანდიდატთა „მოკლე სიას“ (shortlist) ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განაცხადების წარდგენის შემდგომ განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი კომისია.

„მოკლე სიაში“ შესულ კანდიდატებს გაეგზავნებათ მოთხოვნა პროექტთან დაკავშირებით სრული ტექნიკური და კომერციული წინადადებების წარდგენის თაობაზე. მოკლე სიაში შევლენ მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებიც სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილებენ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის პირობებს (მათ შორის მოკლე სიაში მოხვედრის კრიტერიუმებს).

შერჩევის პროცესის ვადა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ, თუმცა საქართველოს მთავრობა აპირებს, რომ მოთხოვნა წინადადებათა წარმოდგენის თაობაზე გამოაცხადოს სავარაუდოდ 2018 წლის 15 თებერვალს.

11. შერჩევის კრიტერიუმები

კანდიდატების „მოკლე სიის“ შესარჩევი კრიტერიუმები განსაზღვრულია დანართი 1-ით.

კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმები შეიძლება შეიცვალოს ან შესწორდეს ნებისმიერ დროს განაცხადების მიღებისათვის განსაზღვრულ საბოლოო ვადამდე. ინფორმაცია ამის შესახებ გამოქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

12. საჯაროობა

ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევასთან დაკავშირებულ შემოთავაზებებზე საჯარო განცხადებები დაიშვება მხოლოდ საქართველოს მთავრობის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

13. ვალდებულებებისგან თავისუფლება

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოწვევით საქართველოს მთავრობა არ იღებს ვალდებულებას შეარჩიოს რომელიმე კანდიდატი, ან აუნაზღაუროს რაიმე ხარჯი ნებისმიერ კანდიდატს. ამასთან, დოკუმენტების წარდგენა კანდიდატს არ ანიჭებს საქართველოს მთავრობის მიმართ რაიმე მოთხოვნის წარდგენის უფლებამოსილებას იმის გამო, რომ ასეთი კომპანია ან კონსორციუმი გამოეხმაურა მოთხოვნას წინადადებების წარდგენის თაობაზე. ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის საპასუხოდ გაწეული ყველა ხარჯი და ნებისმიერი შემდგომი ინფორმაციის მოთხოვნა იქნება კანდიდატის ხარჯების ნაწილი.

14. ზეგავლენის მცდელობა

კანდიდატის ან მისი წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ნებისმიერი მცდელობა მოახდინოს გავლენა ინტერესთა გამოხატვის პროცესზე, შეიძლება დასრულდეს კანდიდატის დისკვალიფიკაციით.

15. საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებები

საქართველოს მთავრობა იტოვებს უფლებას:

- უარი თქვას ან შეცვალოს ინტერესთა გამოხატვაზე მოწვევის პირობები (მათ შორის, „მოკლე სიის“ კრიტერიუმები) წინასწარი გაფრთხილების გარეშე, სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებით;
- კანდიდატის მიერ წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით მოითხოვოს დაზუსტება ან დამატებითი დოკუმენტაცია;

- დისკვალიფიკაცია მისცეს ნებისმიერ იმ კანდიდატს, რომლის განაცხადი ინტერესის გამოხატვაზე არ შეესაბამება ამ მოწვევით განსაზღვრულ ინსტრუქციებს;
- დისკვალიფიკაცია მისცეს ნებისმიერ იმ კანდიდატს, რომელიც ინტერესის გამოხატვაზე განაცხადში დაამახინჯებს არსებულ ფაქტებს;
- უკან გამოიწვიოს ეს მოწვევა ინტერესთა გამოხატვაზე, ან ხელმეორედ მოიწვიოს კანდიდატები იმავე ან სხვა საფუძვლით, სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნების გზით;
- არ მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას ამ პროცესის შედეგად ან განაგრძოს კანდიდატების შერჩევა, ან გაუგზავნოს „მოკლე სიაში“ მოხვედრილ კანდიდატებს მოთხოვნა წინადადებების წარდგენის თაობაზე; და/ან
- შეიტანოს ნებისმიერი ცვლილება ინტერესთა გამოხატვის და შეფასების ვადებში, ან ამ მოწვევის სტრუქტურაში, ან შინაარსში დამტკიცების პროცესიდან ან ნებისმიერი სხვა მიზეზიდან გამომდინარე, სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნების გზით.

16. გამოყენებადი სამართალი

ინტერესთა გამოხატვის შესახებ მოწვევა, განაცხადის წარდგენა და შეფასების პროცესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

დანართი 1 – „მოკლე სიის“ კრიტერიუმები

ა. გამოცდილება

გამოცდილების შესახებ განაცხადი და ინფორმაცია, წარმოდგენილი კანდიდატის ინტერესთა გამოხატვასთან ერთად, უნდა ადასტურებდეს, რომ კანდიდატს ან მის მიერ დასახელებულ ქვეკონტრაქტორებს, რომლებმაც გამოხატეს პროექტში მონაწილეობის თანხმობა, ერთობლივად აქვს/აქვთ:

(ა) მსგავსი სახის პროექტების მშენებლობის, ოპერირების და ფინანსური რესურსების მოზიდვის სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება; და

(ბ) ერთი ან რამდენიმე ლოგისტიკური ცენტრის განვითარებისა და ოპერირების გამოცდილება; და

(გ) გამოცდილება ან/და ცოდნა დააკმაყოფილონ ლოგისტიკის სფეროში არსებული მოთხოვნები.

ბ. ფინანსური მდგომარეობა

დ) კანდიდატის მიერ ინტერესთა გამოხატვის განაცხადთან ერთად წარდგენილმა კონსოლიდირებულმა ჯგუფურმა ფინანსურმა ანგარიშგებამ უნდა აჩვენოს, რომ მას (ან, სადაც კანდიდატი წარმოადგენს კონსორციუმს, რომ კონსორციუმის წევრებს ერთობლივად გააჩნიათ) გააჩნია, სამთავრობო კომისიის აზრით, საკმარისად მყარი ფინანსური მდგომარეობა იმისათვის, რომ განახორციელოს ინვესტირება პროექტში.

ე) კანდიდატის მიმართ არ უნდა იყოს: წარდგენილი სარჩელი, მიმდინარე სამართალწარმოება ან დაკისრებული პასუხისმგებლობა (მიმდინარე ან გასული ხუთი (5) წლის განმავლობაში), რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესება ზემოთ „დ“ პუნქტში მითითებულ დონესთან შედარებით, რაც დადასტურდება ინტერესთა გამოხატვის შესახებ განაცხადთან ერთად წარმოდგენილი სასამართლო ან საარბიტრაჟო წარმოების სიით.

დანართი 2 - ტერმინთა განმარტება

სამშენებლო ფართი	დაგეგმილი შენობების (ლოგისტიკური სერვისებისთვის, მათ შორის ლოგისტიკასთან მკვეთრად დაკავშირებული დარგებისა და ვაჭრობისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები). მთლიანი ფართი კვადრატულ მეტრებში;
CAPEX	კაპიტალური დანახარჯი;
KPI	ძირითადი მაჩვენებელი;
შევსების (დატვირთვის) მაჩვენებელი	მიწის ნაკვეთებსა და შენობებში (ლოგისტიკური სერვისებისთვის, მათ შორის ლოგისტიკასთან მკვეთრად დაკავშირებული დარგებისა და ვაჭრობისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები). არსებული გასაქირავებელი ფართის თანაფარდობა უკვე გაქირავებულ ფართთან;
პალეტის ადგილების შეფარდება ერთ კვ.მ-თან	პალეტების ადგილების რაოდენობის სავარაუდო შეფარდება დაგეგმილი შენობების ერთ კვადრატულ მეტრთან (ეხება მხოლოდ ლოგისტიკური სერვისებისთვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობებს);
TEU	ოცი ფუტის ექვივალენტი ერთეული;
გამტარუნარიანობა	ტონებში დათვლილი მაქსიმალური წლიური გამტარუნარიანობა დაგეგმილი მთლიანი სამშენებლო ფართის (მათ შორის ლოგისტიკური სერვისებისთვის, ასევე, ლოგისტიკასთან მკვეთრად დაკავშირებული დარგებისა და ვაჭრობისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები) საფუძველზე.